სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/136

ქ. თბილისი 02 10 2020წ.

პროფესიული სტუდენტების სასწავლო განრიგის შესახებ

,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N121/ნ ბრძანებისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ" 2020 წლის 1 ოქტომბრის №01-09-14/2641 ბრძანების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო ტექნოლოგიურ ინსტიტუტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა დაიწყოს 2020 წლის 5 ოქტომბრიდან.
2. სწავლება და შეფასება განხორციელდეს სასწავლო გეგმისა და მოდულების მიხედვით.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს (თ. წერეთელი).
4. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
5. გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.#64).

რექტორი დავით გურგენიძე